

1970



საქმე

ბამოცემის 47-ე წელი უახლესი 20 პაპ.

«საქმე» — «კომუნისტს»

ა. წ. 8 ივნისს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანოს — გაზეთ «კომუნისტს» დაარსების 50 წლისთავი შეუსრულდა.

დიდ იუბილეს გილოცავ,
ქებას ვაძლავთ გილოცებ
და გიდღეგრძელებ მკითხველს, შტატს.
სპეც. და საკ. კორესპონდენტებს!

ხელიხელსაგომანები,
ხარ გმირი ხალხის გაზეთი.
აღზევდი ახალ ცხოვრებით,
ახალ აზრებით გამზევდი.

ღამით სტამბაში ჩადიხარ,
განთიადისას ინთები...
მთლიანი საქართველოა
შენი ავტორიც, მკითხველიც.

აღფრთოვანებად შესახლდი
ყველა გულსა და ბინაში...
დღეს მილიონი თვალი და
ყურია შენი ტირაჟი.

ხარ დიდი აგიტატორი
ხალხთა ძმობის და მშვიდობის...
შენ მშობელივით იცნობი,
მეგობარვით ინდობი!..

ჯარისკაცვით დარაჯობ
დიდაქართულის სიწმინდეს...
ყველგან სიხარულს მიიტან,
სადაც არ უნდა მიბრწყინდე!

შუქს გვაფინ გამარჯვებათა, —
ბრძენი, მებრძოლი, ხალასი...
ხარ კრისტალური მსაჯული,
შენგან კრიტიკაც არა მწყინს!

წერ ისტორიას, უახლესს,
საბჭოთა საქართველოსი...
თექვსმეტი გვერდიც რომ მქონდეს,
შენს ამაგს მაინც ვერ მოვთვლი!

ღამეს გითევს და დაგხარის
და ჰყავხარ, როგორც ფეტიში —
რედაქტორ-აღმამენებულს,
დაუდღელ დავით მჭედლიშვილს.

ქართული პრესის მედროშევ,
დაე, სულ ასე ინათე
და ემსახურე სამშობლოს,
მის მომავალს და სიმართლეს!



ნ.ა. ჯ. ლოლუბანი



— სომ გაგაფრთხილეთ, ქალიშვილო, გა მოც-
დაზე შემოსვლისას სათვალე პარკებთან მიიყუდეთ
და კაგა ჩამოიწიეთ-მეთქი!

ამხანაგური ამხანაგობა

მეგობრობის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ. ისე — ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან ისიც ვარ, მაგრამ ამ ბოლო დროს უფრო მეგობრობის ტრფიალი ვაგხდი. ყველა სფეროში მყავს მეგობრები, გარდა სტრატოსფეროსა და ატმოსფეროსი. ხო და ცოტა მოხუცებულობაში რომ შევედი და კაი სამსახური ვიშოვე, 110 მანეთიანი, დავაპირე სულიერი მეგობრის პოვნა, ვიპოვე კიდევ და სასწრაფოდ შევირთე, რომ არ გადაეფიქრებინა. ახლა ახალი მეგობრები, ახალი ამხანაგები შევიძინე, ცოლის მხრიდან, თავისი „ამხანაგობის სახლის“ ამხანაგობი-ანად. სინდისს გეფიცებით, თუ ასეთი ამხანაგობა სადმე მენახოს!..

ჭერ იყო და ამ ამხანაგობის სახლის აშენებას არ დაადგა საშველი. მერე, როგორც იქნა ააშენეს. ყველა ამხანაგობის წევრი სიხარულით შეამხანაგა და შევიდა „კეთილმოწყობილ“ ბინებში, სადაც: აყრილ პარკებს, მოშლილ გაჭქურებსა და წულის გაყვანილობას მხარს „უმშვენებელ“ სანაგვეებად ქცეული აივნები და ლოჯები.

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ნავაგი მოვაშორეთ იქაურობას, შემდეგ... შემდეგ, ისევ, სინდისს გეფიცებით, თუ ტყუილს ვამბობდ, თავისი ფეხით „წმინდანებით“ გამოგვეცხადნენ სერგო, რაჩია, უორა, რუბენა და გვიტარეს: „ჩვენ მასტერები გახლავართ ნა ვსე რუკი, ახალმიღებული კვარტირების კეთილმოწყობის სმეტა სტანდარტია და სერგომ ზეპირად იცის... დაიწყე სერგოჯან“. სერგომ ერთი მიიხედ-მოიხედა, მერე ყველანი სათითაოდ ჩავვათვალეირა და დაიწყო: „პატივცემულო ბატონო ამხანაგებო! ლოჯის ამოშენება 180 მანეთი, შუშბანდის ჩარჩოების 309 მანეთი, სტეკლო 87 მანეთი, ბელიოს გასაფენი უელფენოი ტრუბების მისვარევა თავის უგლავიკებით 5 მანეთი, პოლის ციკლი კვადრატნი მეტრი 5 მანეთი, გაზის პლიტებისა 10, ვადაპაროტკა ტუდა-აბრატნო 30 მანეთი, ანგლიცი კალჩების დაყენება 20, ხოლო ნახევრადანგლიციისა 15 მანეთი. ეს არის და ეს, ვსო!“

ამხანაგობის წევრებმა ამხანაგურად მოვითათბირეთ, შევადგინეთ სია, დავიჭირეთ რიგი და გახურდა მუშაობა.

ერთი სიტყვით, ამოგვიშენეს ლოჯები, ჩავვისვეს ჩარჩოები, ჩარჩოებში მინები, გაგვიმართეს გაჭქურები, ჩვენვე გაჭქურების ყოფილი სახელურებით და გაწყობილობით, მოგვიშალეს წულისგაყვანილობა, დაგვიყენეს ინგლისური საკეტები, დავიკეტეს კარბები, ამოგვისლუთავეს ჭიბები და მადლობაც არ უთქვამთ, ისე გადავიდნენ სამუშაოდ მეორე ამხანაგობაზე.

შეგახსლდით ბინებში. გვეგონა თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცა, მაგრამ ვინ ამოგასუნთქა. ამხანაგობის წევრები ისევ ამხანაგურად მოვიდნენ და ოცდახუთ-ოცდახუთი მანეთი შევკრიბეთ სახურავიდან წყალსადენი მილების გარეთ გასატანად, რომელიც შუა ლოჯიაში იდგა დედაბოძივით. შემდეგ ლიფტის ნაწილებისა და ამუშავებისათვის შევკრიბეთ ცამეტ-ცამეტი მანეთი, ცივი წულის გასაშვებად სამ-სამი, ხოლო თბილი წულის გასაშვებად ოთხ-ოთხი მანეთი. ბოლოს ამხანაგობის საერთო ამხანაგურ კრებაზე დადგინდა ყოველთვიურად გადასახადები ლიფტზე ერთი მანეთი და ოცდახუთი კაპიკი, გაზის ორი მანეთი, ცივი წულის — ორი, თბილის — ორი, სინათლის, რა თქმა უნდა, მრიცხველის მიხედვით და სხვა მრავალი წვრილმანი. სხვათაშორის, რვა თვის განმავლობაში, ამხანაგობის ორი ამხანაგი თავმჯდომარე გამოვიცვალეთ, პირველი გადადგა სამსახურებრივი საქმით მძიმე დატვირთვის გამო, მეორე — ამხანაგობის ზოგიერთი წევრი ანონიმური წერილის მსხვერპლი გახდა ამხანაგობის შინაურულ დახურულ კრებაზე. ამავე კრებაზე გამოუტანიათ დადგენილება ახლადარჩეული თავმჯდომარის ხელფასის დანიშვნის თაობაზე: თითო ოჯახიდან თვეში მანეთი.

ხო, მართლა, კინაღამ დაამვიწყდა, ამას ემატება დაკანონებული კვარტალური შესატანი 60 მანეთი. მეტი რა ვქნათ? ვცხოვრობთ ასე, ამ ახალ კეთილმოწყობილ ამხანაგურ სახლში.

ისე... გეფიცებით სინდისს, ამნაირ ამხანაგებსა და ამხანაგობაში ყოფნას ისევ შენთან ამხანაგობა მირჩევნია, ჩემო „ნიანგო“!

თ. კორპუსელი.
ჩვენი ამხანაგობის მისამართია: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, მე-7 კვარტალი, მე-6 კორპუსი. ჩემს ნახვასა და ამხანაგობას თუ ისურვებთ, გაგიჭირდებათ, ვინაიდან ჩვენი ლიფტი თვეში სამ დღეს მუშაობს, დანარჩენი დღეები „გამოსასვლელი“ აქვს...

— ბიჭო, რამდენ ხანს უნდა იყო კიდევ სტუდენტი?
— სოფელში წამოსასვლელ ბილეთს ნახვარ ფასში მაქვს-
ვენ, მაგაჩემო, და შენ რა გენაღვლება?!

კურორტები

ვის უნახავს საქართველო, მისი ლურჯი მთა-ბარითა, ზღვითა, მთითა, ტყეებითა, საკურორტო ზღაპრითა. ზოგან ლურჯი ტალღა და ზოგან ლურჯი ბალახია, წყალტუბოში წყალი არი, ახტალაში ტალახია. ქობულეთში სიყვარულით განა რამე დაშავდება, ბამბასავით თეთრი ქალი ერთ კვირაში გაშავდება, რას არ ნახავ, რა არ არის, უკვდავების დასადარი, საგზურები? უკაცრავად, საგზურები არსად არი!

ბათუმში რომ ქვიშნარებზე ნესტისაგან თითქო შრები, როცა შოვში აბრძანდები, სიცივისგან ითოშები. ნენჯის წყალი ყველას შველის, გინდა ბებრებს, გინდა ბავშვებს, თუ დავარდნილს მიუსწარი, ხელად ფეხბურთს ითამაშებს. ჩვენს კურორტზე ქვიშნარებიც სესხულობენ ფერებს მთიდან, ჩვენც ვამაყობთ აბასთუმნით, გაგრიტა თუ კვერეთითა, რას არ ნახავ, რა არ არის უკვდავების დასადარი. საგზურები? უკაცრავად, საგზურები არსად არი.

ბავშვებს შეენის აჭარულად სახე მზეზე დაგიშრული, შედამება აჭარული, გათენება მანგლისური. ჩვენი წყნეთი, კარგი წყნეთი, თვით ზეცამდე მოშვეტილა, სვანებსაც რომ შეხარბდებათ, იმნაირი კომპეტია. კოჯორში კი, ღმერთო ჩემო, არ გეგონოთ მოჭორილი, კაცისათვის ბრუს დამსხმელი ჰაერია ბორჯომივით. რას არ ნახავ, რა არ არის უკვდავების დასადარი, საგზურები? უკაცრავად, საგზურები არსად არი.

— ძია, რატომ კონს ნაყინი ასე პატარა?
 — სკოლაში არ მასწავლიან, რომ სხეული სი-
 ცივში პატარავდება?
 — კი, ბიძია, მაგრამ ფასი რატომ მატულუმს
 სიცივეში?



ესეც მოდუნა?

ერთ გაბრწყინებულ დილას ჩვენს „გაბრწყინებულ“ კლასში დირექტორმა გაბედულად შემოაბიჯა და, როცა საკლასო ოთახში ჩემს მეტი ვერაფერს დაინახა, განცვიფრებული სახე გამომცდილად მომაპყრო.

— შატალოზე? — მოკლედ და დამცინავად იკითხა.

უარყოფის ნიშნად თავი გავაქნიე.

მაშინ დირექტორმა კლასის ყურნალი გადაშალა.

— თურქია სად არის? — ისე დასჭექა, თითქოს მე ვყოფილიყავი დამნაშავე, თურქია რომ სკოლაში არ ბრძანდებოდა.

— თურქია, პატივცემულო, მათემატიკაზე სამეცადინოდ დადის ლექტორთან. დღეს 10 საათზე იქ უნდა ყოფილიყო.

— დათუკიშვილი?

— დათუკიშვილს, პატივცემულო, შავი დღე ადგას: დოცენტს, რომელთანაც ქიმიასი მეცადინეობს, ათი ბილეთის კონსპექტი მიუცია ხვალისათვის გადასაწერად და დრო არ ჰქონდა სკოლაში მოსასვლელად.

— მკურნალი სად დაიკარგა? ერთი თვეა, არ მინახავს!

— მკურნალი, პატივცემულო, სამედიცინო ინსტიტუტში აბარებს სამკურნალოზე. დილის ცხრა საათიდან თორმეტამდე ფიზიკის მასწავლებელთან ემზადება, პირველიდან ხუთამდე ქიმიასზე, ექვსიდან ცხრამდე — ბიოლოგთან...


— ფრანგიშვილი სადღაა, ის გამომტერებული? ისიც სამეცადინოდ დადის?

— ფრანგიშვილმა, პატივცემულო, მშობლების ვაჟენით, ჟიხონათა ინსტიტუტში შესვლა გადაწყვიტა. დადიოდა მასწავლებლებთან ინგლისურზე, გერმანულზე, ესპანურზე. ახლა ფრანგულზე დადის.

— მერე და, შენ, ბიძია, პატრონი არ გყავს, მასწავლებლებთან რომ არ დაყავხარ და მარტო ჩიგნს იმედზე ზიხარ კლასში? — მზრუნველი კილოთი მომმართა დირექტორმა და გავიდა.

ვანხანგ თალაგვაძე

— რატომ ჩამოხვრით, კოლეგა, შვილი? დიდ ბოდიშს მიხდის, ვერ მიხანის!



ნ. ა. შ. მუმუზარაძისა

საქართველო

ანუ

შაჰი პურჩილან

შაჰ პურჩამდი

ამ ოცი წლის წინათ პირველად ჩამოვედი თბილისში და, ვნახე თუ არა მოსაფლტებელი ქუჩები, მაშინვე ვთქვი: ჩვენი სოფლის გზების აყალო მიწების ზეღვას აქ სეირნობა ჯობია-მეთქი. რაც ინსტიტუტში შეეყავი თავი, ფეხი აღარ მიცდებოდა სოფელში, ისე, ხანდახან არდადეგებზე თუ მოვინახულებდი მშობლებს.

მართალი გითხრა, ცხოვრებით განებივრებული არ ვიყავი, ჯერ იყო და მამაჩემი წაიყვანეს ჯარში, დამთავრდა ომი, მამაჩემი კი ჩამოვიდა, მაგრამ მარცხენა ფეხი არ ჩამოყვა და ვეღარ ბარავდა, ასე რომ ბარაქა გვაკლდა, თუმცა მშვიერი არასოდეს ვყოფილვარ...

ერთხელ ამხანაგმა დამპატიჟა დღეობაზე, მის მამას 'აკუთარი სახლი, ეზო, მანქანა, გარაჟი, და მრავალი სხვა სიმდიდრე ჰქონდა. სუფრაზე რა არ იყო, ბევრი საჭმელ-სასმელი მაშინ პირველად ვნახე. ჩემს ერთ ამხანაგს ვკითხვე: ჩვენი ამხანაგის მამა რას აკეთებს-მეთქი. საქმოსანიოთ მიპასუხა. მეც საქმოსანი უნდა გავხდებ-მეთქი, ავთხარი ამხანაგს. საქმოსანი რომ გავხდე, ჯერ ფული უნდა იშოვნო და წილში შეხვიდეო, მითხრა მან.

სტიპენდიასაც კი ვაკლებდი ნაწილს და ვინახავდი, შავ პურზე და ნიორზე გადავდიოდი, როცა ნიორი ძვირდებოდა, შავ პურს მარგარინში ვწვავდი, თან ჩემ მშობლებსაც ვატყავებდი.

სამსახური რომ დავიწყე, სტუდენტულად მინცა ვერ მომაცვლევინეს ფეხი. ისევ შავ პურზე გადავდიოდი. როგორც იქნა, შევედი წილში.

ავშენდი. ავაშენე საკუთარი სახლი, ვიყიდე მანქანა, დავდგი გარაჟი. სოფელშიც ახალი სახლი ავაგე. შავი პურით? სპეციალურად ვაცხოზინებდი თონეში ბამბასავით შოთებს. ზუთხი, სუკი, ხიზილალა, ფრანგული კონიაკი, ქართული კონიაკიც, მხოლოდ OC-ს ტიპის, ყველაფერი უმაღლესი, წელიწადის დროის მიხედვით აგარაკები (მათ შორის საკუთარი წოდორეთში).

გავსუქდი, ორმოცი კილო მოვიმატე. შაქარი მომემატა, მარილები დამიგროვდა. გულმა შემიტია, კუჭმა შემიტია, ღვიძლმა შემიტია... ყველაფერი შეტევაზე გადმოვიდა.

იერიშების მოსაგერიებლად ექიმი მოვიყვანე. გამსინჯა, წამლები გამომიწერა და ბოლოს დამარიგა: თუ გინდა იცოცხლო, ღვინო და კონიაკი არ დალიო, ხიზილალა და ხორცი არ ჭამო, ხილს მოერიდე, მანქანით არ იარო. შავი პური და ნიორი მოვიხდებ, მწვანელიც შეიძლება, ჯოფელში იარე, თოხით და ბართით იმუშავე, რბილ ლოგინში არ დაწვეო.

ნუთუ იმისათვის ვწვალობდი, რომ ფეხით მეარა, თოხით მემუშავა, უღებო ლოგინში დაწვოლილიყავი, შავი პური მეჭამა და აღარ დამელია? რა ვქნა, რა ვუყო ჩემს ქონებას? ვინ უნდა ჭამოს? შევასრულო ექიმის დარიგება?


რას იზამ, სული ტკბილია.



— დაგაინდი, ვინცა ილია, არა? შენ მიმინ დაგაინდი, დაგაინდი ხარა უპატივით!



— მთელი დღე თამბაქო არ ჰგინებო, ეპო! ესაა მთავი თამბაქო!



— პარკებისათვის, უფროსი, ყველა ხვეული კარგად, აგარა თქვენი ხვეული ხარვეზი-ბები!

(გაზაფხულის ილიაობის კრიტიკა)

დაგაინდის პერიოდის, გახდნულ იქნა და ადგილობრივი დიპლომატიის გეგმა...

მწიფე დასადგენი, სასკოლო, რომელი პერიოდისა და რა ვითარებაში მდებარეობს თავი...

სიძველე უფრო მეტია იმდენი სახე იქმნება თუ მთელი, რომ ნაგებია მთელი...

კვირბინი რა ამ სახეობის იმეტიერად და მართლად ვადგინებს მთელ სკოლის მართლებას...

ქაიმი პარტიკი (ტალღი ცემონტი): დიდი ვარ დაწვენიერული ჩემი თამბაქო...

66

69



— არა ბრძანებინა, შენს უფროსს კაცს რა უნდა ვაძღვრო? — მის პრინს უფროსს? მამობის!

თამბაქო — რამ დაგაინდი? — ცუთხება... მისი მადლი — რას გავს ეს, ხომ არ დაგვირავი განუყოფლობა... კონსერვებისა — რაგორი კაცია თქვენი ახალი უფროსი? — ცუთხება ნაწინა...

დანაპიტი, სანქციონირ, ამ ბარს, დღესაც ბევრი ითხოვება...

სიძველე უფრო მეტია იმდენი სახე იქმნება თუ მთელი, რომ ნაგებია მთელი...

კვირბინი რა ამ სახეობის იმეტიერად და მართლად ვადგინებს მთელ სკოლის მართლებას...

ქაიმი პარტიკი (ტალღი ცემონტი): დიდი ვარ დაწვენიერული ჩემი თამბაქო...

ნოს, რომ მიხელობის კანონი ქობზე და თავზე დასაგადასაგადი მიწებდება...

სიძველე უფრო მეტია იმდენი სახე იქმნება თუ მთელი, რომ ნაგებია მთელი...

კვირბინი რა ამ სახეობის იმეტიერად და მართლად ვადგინებს მთელ სკოლის მართლებას...

ქაიმი პარტიკი (ტალღი ცემონტი): დიდი ვარ დაწვენიერული ჩემი თამბაქო...



ს. ბ. ლომოსანი



ს. ბ. ლომოსანი

გაზაფხაბა — მისი რამ მინდა, მიტოვებულ ბავშვებზე! — კონსტანტინე პეტრესკის ვაჟები... — კონსტანტინე სიცილიე კი არა, გული მინდა რომ გვე პეტრე...

ს. ბ. ლომოსანი



ქართული
ლიტერატურა

მინდა მოგიხსნათ პოსიდელკინის ცხოვრებაში მომხდარი ერთი მწარე ეპიზოდი. უბედურება პოსიდელკინის სისულელის გამო არ მომხდარა — კაცმა რომ თქვას, იგი საკმაოდ ჭკვიანი გახლდათ.

ერთი სიტყვით, მოხდა ის, რაც მრავალჯერ მომხდარა ცალკეულ პიროვნებათა თუ ხალხების ისტორიაში — ვაი ჭკუისაგან.

საქმე ეხება პოსიდელკინის მგზავრობას რკინიგზით.

პოსიდელკინის საბოლოო მიზანი გახლდათ 13 სექტემბერს დაეტოვებინა მოსკოვი და, ორი დღის შემდეგ, აზოვის ზღვის სამკურნალო აბაზანების მისაღებად ვისკს სწავოდა. ყველაფერი კარგად აწყობდა: საგზაური, შვებულება, თჯახური საქმეები, მაგრამ როდესაც საქმე გამგზავრებაზე მიდგა, აქ სიძნელის ჩინური კედელი აღიმართა. ვისკში წასვლამდე მხოლოდ ორი თვე რჩებოდა, პოსიდელკინს კი... ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბილეთი.

„დროა, მივიღოთ სასწრაფო ზომები!“ — გადაწყვიტა პოსიდელკინმა.

„ქალაქის სადგურს არც გავეყარები, არც ვაგზალში წავალ. უაზრობაა, ბილეთს მაინც ვერ ვიშოვნი. ამბობენ, რომ იქ სალაროებში, ბილეთების მაგივრად, კბილის ფხვნილითა და კარტით ვაჭრობენ. არა, ბილეთი სხვა გზით უნდა ვიშოვო.“

და, აი, ამ სხვანაირი გზის ძებნაში გავიდა ორი თვე.

— თუ ხათრი გაქვთ, — ეხვეწებოდა პოსიდელკინი ყოველ ნაცნობს, — მიშოვეთ ერთი ბილეთი ვისკამდე, — დასაწოლი იყოს და თუნდაც მაგარ ვაგონში.

— დასადგომი არ გინდათ? — დარდიმანდულად ექილიკებოდნენ ნაცნობები.

— რა შემსხრება, იახსდა განწყევნილი პოსიდელკინი, — კაცი სამკურნალოდ მივდივარ ვისკში, თქვენ კი...

— არ დაგავიწყდეთ... 13 სექტემბერისათვის... უეჭველად გვეყოლებათ ყოვლისშემძლე ნაცნობები... არა, არა, ისე კი ნუ მპირდებით, უბის წიგნაკში ჩაიწერეთ, თუ გიყვარდეთ!

ეს დაპირებები არც აიძვებდა და არც ამშვიდებდა პოსიდელკინს, მას კონკურენტებისა ეშინოდა. ყოველი გამვლელი მომავალი მგზავრი ეგონა. მართლაც თითქმის ყველა გამვლელი ისე უცნაურად და ნერვიულად იყურებოდა აქეთ-იქით, საბილეთო რიგიდან ახლახან გამოსული გეგონებოდათ.

— ცუდია, ცუდი, — ფიქრობდა პოსიდელკინი, — გადაჭრით უნდა ვიმოქმედო, საჭიროა სისტემა.

მთელ საღამოს პოსიდელკინი სქემის შედგენას ანდომებდა.

მილიციას რომ გაეჩხრიკა, უეჭველად დაასკვნდნენ, რომ პოსიდელკინი იყო მეთაური დიდი იატაკქვეშა ორგანიზაციისა, რომელიც სარკინიგზო ხიდის აფეთქებას, ანდა ღია ტიპის კოლოპერატორის გაძარცვას აპი-

რებდა: ქალაქზე გამოსული იყო რგოლები, კვადრატები, პუნქტირი, ლიტერები, ციფრები და გვარები.

სქემის მშვეობით შესაძლო ხდებოდა ასობით ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე თვალყურის დევნება:

ვინ იყვნენ ისინი, სად ცხოვრობდნენ. სად მუშაობდნენ, რანაირი ხასიათი ჰქონდათ, რა ნაკლი, ვისთან მეგობრობდნენ, ვინ არ ეპიტნავებოდათ. პარტიულთა გვარებს ჯერები ესვა. უპარტიოებისას — ნულიანები. გარდა ამისა, ამ დოკუმენტში შეხვდებოდით საკმაოდ უცნაურ დახასიათებებს: „ბრუნელვესკი — უდავოდ შეუძლია“.

„ნიკიფოროვი — შეუძლია, მაგრამ არ მონიდომებს“.

„მალცევი-პალცევი — მონიდომებს, მაგრამ ვერ შესძლებს“.

„ბუმაგინი — არც ძალუძს და არც მონიდომებს“.

„კოშკოვლადელცევი — შეუძლია, მაგრამ ციგანია“.

ყოველი ეს მაგარ ვაგონში დასაწოლ ბილეთთან იყო დაკავშირებული.

„სადმე მაინც მოედება ანკეისი“ — ოცნებობდა პოსიდელკინი. მთავარია, არ მოსვენო ისინი არც ერთი წუთით. ყველა მათგანი რენეგატი და გამყიდველია: დაგპირდებიან და ხვიშტი“.

გამგზავრების მოახლოებასთან ერთად პოსიდელკინის მოქმედება თანდათან მძაფრდებოდა და საგრძნობლად ემუქრებოდა ქალაქის სიმშვიდეს.

ხალხი გაუბრობდა მას, მაგრამ პოსიდელკინი დაუღალავად განაგრძობდა დეგნას. ამისათვის ყველა საშუალებას იყენებდა:

ლიფტიდან დაწყებული — ტელეფონამდე.

— სთხოვეთ ამს. მალცევს, პო, მალცევს, დიას, მალცევს!

— ვინ კითხულობს?

— უთხარით, ლელიკო.

— ამს. მალცევი ხართ? გამარჯობათ, ამს. მალცევი! არა, მე ლელიკო არა ვარ. პოსიდელკინი გახლავართ. ამს. მალცევი, თქვენ ხომ დამპირდით. დიას, ვისკამდე, საწოლი. არ გცალიათ? რატომ? კარგი, მაშინ ტაქსით გამოვივლით. არაა საჭირო? არ მომეტყუებთ, არა? მომიტყუეთ!

დაინახავდა თუ არა მისთვის საჭირო კაცს, პოსიდელკინი უშიშრად გავარდებოდა ხოლმე შუა ქუჩაში. ღრჭიალებდნენ ავტომანქანათა მუხრუჭები და ფიქრდებოდნენ მძღოლები.

— ერთი სიტყვით, არ დაივიწყოთ! ერთი ბილეთი. მაგარი დასაწოლი. ვისკამდე. — უყვიროდა ნაცნობს ქუჩაში.

როდესაც პოსიდელკინი მილიციის განყოფილებაში მიჰყავდათ ხოლმე მოძრაობის წესების დარღვევისათვის, იგი გზაში ახერხებდა მილიციელისათვის ბილეთის შოვნის პირობა ჩამოერთმია.

— მილიცია ყოვლისშემძლეა, — საწყალობლად გაიძახოდა პოსიდელკინი და მილიციელის გვარი შესატყვისი რგოლითა და დახასიათებით („შეუძლია, მაგრამ მერყევი“) თავსდებოდა მის სქემაში.

გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე მოვიდა ვიღაც სრულიად უცნობი და პოსიდელკინს გადასცა ბილეთი ვისკამდე. პოსიდელკინი უსაზღვრო სიხარულმა შეიპყრო, ჩაესვია მოქალაქეს, ტურებში ჩაკოცა, ვერც კი იცნო. იმდენ ვინმეს თხოვა ბილეთი, რომ ყველა მათგანის დამახსოვრება სასვებით შეუძლებელი გახდა.

იმავე დღეს მოტოციკლით მიადგა მალცევი-პალცევის შიკრიკი და მოუტანა ბილეთი ვისკამდე.

პოსიდელკინმა მადლობა გადაუხადა, მაგრამ საფასურის გადახდისას გული საგრძნობლად შეეკუმშა.

„ერთ ბილეთს ვაგზალზე გავყიდი“, — გაიფიქრა მან.

უკ, ტყუილად ჰქონდა პოსიდელკინს კაცობრიობაზე ხელი ჩაქნეული. სქემა მოქმედებდა უბედოდ. ისე, როგორც კარგად დასეთილი მანქანის უშვებს ტყვიას ტყვიანზე.

გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე პოსიდელკინი აღმოჩნდა 38 მაგარი დასაწოლი ბილეთის მფლობელი.

საფასურს შვებულების მთელი თანხა შეაღებდა.

რა უნამუსობაა, არც ერთი არ აღმოჩნდა რენეგატი და გამყიდველი.

ბილეთები კი მოდიოდა და მოდიოდა. პოსიდელკინი იმალებოდა, მაგრამ მას პოულობდნენ. ბილეთების რიცხვმა 44-ს ააღწია.

გამგზავრებას უკლდა ერთი საათი. პოსიდელკინი იდგა სადგურზე გრანიტის მოაჯირთან და არაკვალიფიცირებული მათხოვრის შიშნარევი ხმით სთხოვდა გამვლელებს.


— იყიდეთ ერთი ბილეთი ვისკამდე! სამკურნალო ადგილია, არ ინანებთ!

მყიდველი არ ჩანდა. ყველამ იცოდა, რომ სადგურზე ბილეთს ვერ იშოვიდა, რომ საჭირო იყო მოქმედება ნაცნობების მეშვეობით. სამაგიეროდ, გაჭირვების ტალკვესივით ადგილზე გაჩნდნენ ბრუნელვესკი, ბუმაგინი და კოშკოვლადელცევი — მათ ბილეთები მოიტანეს.

მოწყენილი და გაოგნებული პოსიდელკინი გაემგზავრა.

ვაგონში იგი მარტოდმარტო იყო.

მთავარი კი ისაა, რომ უბედურება არ წარმოშობილა პოსიდელკინის სისულელის გამო. კაცმა რომ თქვას, ის უფრო ჭკვიანი იყო, ვიდრე სულელი. უბრალოდ მას ჰყავდა მეტად გავლენიანი ნაცნობები. ხოლო საუკუნო წესი — ბილეთების სალაროში შექნა — რატომღაც სასვებით მივიწყებული იყო.



საქართველო
გაზეთთა და
გრაფიკის
საერთაშორისო
კავშირთა
საბჭოთა
კავშირთა

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ღუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
წ. გოლჭავაძე
(პ/მზ. მღვივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. გალაშვილი,
ბ. ნიუნიაშვილი
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ზვილიძე.

საბრძოლო და
შურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველი:
პროსპექტი № 42.
თბილისი, სატირნიკო-
იუმორისტული
ჟურნალ «ნიანგი».
ბედ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საბ. კვ. ცვ. ნ. გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად
11/IV-70 წ.
ხელმოწერილია დასა-
გეჭად 2/VI-70 წ.
მაღალდონ ზომა
70x108 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,
პრობოტი ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,4.
საბ. კვ. ცვ. ნ. გამომცემ-
ლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД.-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ГБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14
შპგ. № 1518.
შე 11226.
ბირაში 129, 70.

საბჭოთა
კავშირთა
საბჭოთა
კავშირთა

დიდებული საკურორტო სეზონი დადგა წელს გავრცედა. შესანიშნავი ამინდი, თვალწარმტაც ბუნება, მოლივლივე ზღვა და მცხუნვარე მზე კარგ განწყობილებაზე აყენებს დამსვენებლებს.

აქ ყველაფერი, სულიერი თუ უსულო, მეტყველი თუ პირუტყვი უზრუნველად და უდრტივინველად გრძნობს თავს. აი, თუნდაც ამ სურათზე აღბეჭდილი ძროხები: არიფა, ჯიქანა და ფაქიზო. ისინი ეს-ესაა პლაჟის ხალხმრავლობას გამოეჩენენ და სანატორიუმ „ამრის“ ტერიტორიაზე დებულ ბენ მზის აბაზანებს. მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ძროხებისა, რომლებიც კურორტ გავრცის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ტერიტორიაზე ატარებენ ზაფხულის ხალისიან და გრძელ დღეებს. მათს განკარგულებაშია ლამაზად გაფორმებული პარკები და სკვერები, მოხერხებული საჩრდილობლები და, რაც მთავარია, ძროხები უზრუნველყოფილი არიან მაღალხარისხოვანი საკვებით, ყვავილნარებით, დეკორატიული მცენარეებითა და მოხასხასე კოინდრით.

სურათზე: სანატორიუმ „ამრის“ ტერიტორიაზე მოსიერი ძროხები (მარჯვნიდან მარცხნივ) არიფა, ჯიქანა და ფაქიზო.

ჩვენო ნიანგი!

ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ფეიქრების ქ. № 14, მუსიკალური ფაბრიკის ბარაკი, ფოსტა 53. დაწვრილებით მისამართს იმიტომ გიგზავნით, გვანტერესებს, შეძლებ თუ არა ჩვენამდე მოსვლას. აბა შენი ნიანგობა და აბა ჩვენი ტალახი. ახლა ზაფხულია, სიცხეები დაიჭირა, მაგრამ სულ სიცხე ხომ არ იქნება? იქნებ გაწვიმდა, მერე?.. მერე და, გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთ პრაქტიკულ დასკვნამდე მივდივით: მტერს და ავს, თუ ვინმე ავად გაგვიხდა, ორ სასწრაფო დახმარებას ვიძახებთ. სტრატეგიული გეგმის მიხედვით, ერთი მშრალზე რჩება, მეორე კი ქალაქში გასვლას ცდილობს. მეორემ თუ გასვლა ვერ მოახერხა, მაშინ პირველი დაეხმარება მეორეს. ხანდახან ხომ სასწრაფოსაც სჭირდება სასწრაფო.

ისე, სასმელი წყალი რომ არა გვაქვს, ამაზე არაფერს ვამბობთ. ღვთის წყალობით მტკვარს გვერდზე ჩამოგვიდის.

მოკლედ, ვნახოთ, აბა თქვენი ნიანგობა და აბა ჩვენი მისადგომები!

ჰველას დამხმარე ნიანგო!

ჩვენ ქ. რუსთავეის ტაბიძის ქუჩის მცხოვრებლები ვართ. რადგან გზა არა გვაქვს, ჩივილის გარდა, სხვა გზა არ დაგვრჩენია.

წარმოიდგინეთ სამუშაოდ მიმავალი კაცო, რომელმაც ორი კილომეტრი ფეხით უნდა გაიაროს, რათა ტრანსპორტამდე მივიდეს. ეს კიდეც არაფერი! წყალზედაც (როგორც სასმელზე, ისე ტექნიკურზე) ფეხით გვიხდება სიარული (თუმცა მიღები, როგორც სასმელზე, ისე ტექნიკურზე გამოყვანილია), მაგრამ ეს კიდეც და კიდეც არაფერი! სასწრაფო დახმარება რომ დაგვჭირდეს, ისევე ფეხით უნდა გავიაროთ დიდი მანძილი. ერთი სიტყვით, ტელეფონი რაა, ისიც კი არა გვაქვს. დაგვრჩა მხოლოდ ხმა და იმასაც თქვენ გავწვდებით: გვიშველეთ!

ქვირფასო ნიანგო!

ჩვენ, სამტრედიის რაიონის სოფ. გომი ანუ მთისძირიდან ვაწუხებთ. გარედან თითქოს ყველაფერი მოგვარებულია ჩვენთან, მაგრამ ამ უსინათლობამ შეგვიკლა, ძვირფასო ნიანგო! სინათლე განა არ არის გამოყვანილი, მაგრამ რად გინდა, დღე არ გავა, რომ არ გაფუჭდეს, არ გამოითიშოს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ტელევიზორებმა თავისი დანიშნულება დაკარგეს და ოთახის უბრალო სამკაულებად გადაიქცნენ.

ვეცადეთ ლამპებზე შეგვეერთებინა, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. იქნებ დაგვეხმარო?!

საუპარალო ნიანგო!

გავვივია, მეწყერი ზევიდან ქვევით თოვლს, ქვას, ლორღსა და ათას უბედურებას მიაქანებსო, მაგრამ კინო გაეტაცოს, ეს კი პირველად გვესმის. ვანის რაიონის სოფელ ზედა გორიდან კინოს მეწყერი დაეცა და სოფელ ქვედა გორაში, ოთხ კილომეტრზე, ამოაყოფინა თავი. ახლა გვეშინია, ერთი სასოფლო მაღაზია დაგვრჩა და იმასაც მეწყერი არ დაეცეს.

ქვირფასო ნიანგო!

მიშველე, სამი წელიწადია, წყლის საკითხზე ვჩხუბობ და ვდავობ. მილია გახეთქილი, ვერ იქნა და ვერ შეაკეთეს. ჩემი მისამართია: თბილისი, ლაითურის ქ. № 66-ა, გვარს ვანგებ არ ვასახელებ, თბილისის ლენინის საბ. რაიონის წყალსადენის მუშაკებმა ზეპირად იციან.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ



70-388

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ.ბ. ლომიძისა

— კახეთში იმითი შედეგით, რომ ამერიკელი ჯარისკაცების უშიშროება და-
ვიცვალეთ ვიბრანში; შემდეგ შევალთ ტბილენსა და ლაოსში, რომ დავიცვალთ მათი
უშიშროება კახეთში; შემდეგ კი ბირმის გავლით მოგვიწევს შევვალა კლდოსავლეთ
კაკისთანა და ინდოეთში, რათა დავიცვალთ ამერიკელი ჯარისკაცების უშიშროება ტბი-
ლენში.